პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 მარტი კვირა 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 71 (15588)

მიწა — მზრუნველი ხელი

მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის

არა, ასე არ უნდა ვპატრონობდეთ ველ-მინდვრებს

ხალხი მიწას „ჩვენს მარჩენალს“ ეძახის. მიწა იძლევა მოსავალს, ნაყოფს... მას სიცოცხლის ძალა აქვს. მარქსიზმის კლასიკოსების განმარტებით დედამიწა დიდი ლაბორატორიაა, არსენალია, რომელიც იძლევა შრომის საშუალებასაც, შრომის მასალასაც, საცხოვრებელ ადგილსაც, ე. ი. კოლექტივის ბაზისს.

საქართველოში ოდითგანვე იცოდნენ მიწის ყადრი. იცოდნენ, რომ იგი გასიამოვნებს მხოლოდ მაშინ, როცა საგულდაგულოდ უვლი და ნაყოფიერად ამუშავებ, როცა იცი, რა არის მიწათმოქმედების კულტურა და პირწმინდად ასრულებ მის მოთხოვნებს.

„ტყუილად კი არ ეძახიან მიწას „დედაო“, — წერდა დიდი ილია ჭავჭავაძე, — იგი გვაწოვებს ჩვენ ძუძუს, იმას დავხარით დღე და ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის“.

მიწას უპირველეს ყოვლისა უყვარს კარგი მეურნე. უყვარს, როცა დაუმუშავებელი არ დარჩება მისი არც ერთი მტკაველი.

როცა მაღლიდან დაჰყურებთ ამწვანებულ ჯეჯილებს, გადახნულ მიწებს, თქვენს თვალწინ იხატება უმშვენიერესი ფერწერული პეიზაჟი ბუნებისა, ადამიანის ხელსა და გონებას ასე დიდებულად რომ დაუმშვენებია. და რა სამწუხაროა, როცა ამ სილამაზეში აქა-იქ შავ ლაქასავით გაიელვებს ხოლმე უადგილო ადგილას გაჭრილი გზები, უყურადღებოდ მიტოვებული, სარველა ბალახებით მოფენილი ნაკვეთები, ნამჯის, ჩალისა და სხვა ნარჩენთა ზვინები.

ეს არა მარტო აოშნოებს, ამახინჯებს, სილამაზეს უკარგავს ჩვენს მშვენივრად მოხატულ ველ-მინდვრებს, არამედ, რაც მთავარია, მშრომელთა საერთო ბედელს აკლებს ტონობით მოსავალს.

ძნელია შეურიგდეს კაცი იმას, რომ შირაქისა და ალაზნის ველებზე უყურადღებოდ, დაუმუშავებლად ეგდოს მიწის ნაკვეთი. ეს ხომ ის მიწებია, ხალხი რომ ამბობს: თესლი უკუღმა რომ ჩაგდო, წყალმა ამოვაო.

მაინც რა სურათი გვაქვს, სად ტკივა გული სოფლის მშრომელთა ხელით მოხატულ ჩვენს ველ-მინდვრებს?

შირაქის ველის ამ აბიბინებულ ჯეჯილებში, იმ შავად დასერილ ხნულებში ჯერ კიდევ ვხვდებით **დამპალი ნამჯის ზვინებს, წინამორბედი კულტურების ნარჩენებისაგან გაუწმენდავ ფართობებს, ქარსაცავ ზოლებსა და ნათეს ფართობებს შორის მოუხნავ მიწებს, უადგილო ადგილას მანქანების მიერ გაჭრილ და მერე უყურადღებოდ მიტოვებულ გზებს.** ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა წითელწყაროს (რომელიც ესოდენ სახელმოხვეჭილია მარცვლეულის უხვი მოსავლით) ორჯონიკიძისა და ლენინის სახელობის კოლმეურნეობების ფართობებში, აგრეთვე არბოშიკის, ჯაფარიძის, ქვემო ქვედისა და სხვა კოლმეურნეობათა ნაკვეთებში. რით უნდა ავხსნათ ასეთი „კულტურული“ მოპყრობა ნათესი ფართობებისადმი თუ არა შემინდვრეობის, დაბალი კულტურით, იმით, რომ ჯერ კიდევ ყველგან მთელი პასუხისმგებლობით როდი იბრძვიან მიწის სავარგულების მაქსიმალურად ათვისებისათვის, თვითეული მტკაველი მიწის მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის.

სამწუხაროდ, **წითელწყაროს გამონაკლისი არ არის.**

ასეთსავე სურათს შეხვდებით **ლაგოდეხის, ხიდნაღის, გურჯაანისა** და **საგარეჯოს** რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობათა ფართობებშიც.

მაგალითად საგარეჯოს რაიონის სოფელ ვერხვიანის, აგრეთვე პატარძეულისა და კაკაბეთის კოლმეურნეობათა საშემოდგომო ნათესებში მანქანებს ნებისმიერი გზები გაუკვალავთ და ამის შედეგად მოცდენილია მაღალმოსავლიანი მიწის არც თუ მცირე ფართობი. სოფელ პატარძეულში ხნულებში ნამჯის ზვინებია აღმართული, რაც მღრღნელებისა და მინდვრის სხვა მავნებლების ბუდეებს წარმოადგენენ.

გურჯაანის რაიონის სოფელ ჭადრის კოლმეურნეობამ 23 ჰექტარ ცუდად მოხნულ მიწაზე ხორბალი გვიან დათესა და ამის შედეგად ნათესის სიმეჩხრე 30 პროცენტამდე ავიდა. ასეთივე მდგომარეობაა ჩალაუბნის, ბაკურციხისა და შაშიანის კოლმეურნეობათა საშემოდგომო ნათესებშიც.

მიახლოებით გავიანგარიშეთ, თუ რა ზარალი შეუძლია მოუტანოს კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას თუნდაც იმ, ერთი შეხედვით, პატარა მიწის ფართობმა, რომელიც ნამჯის ზვინს უკავია, ან უადგილო ადგილას გაყვანილმა გზამ და ტრაქტორის მოსაბრუნებელად დატოვებულმა ტერიტორიამ. საბოლოო ანგარიშით ისინი ათეულობით ჰექტარ სავარგულ მიწას აღწევენ. ჰექტარზე კი საშუალოდ 20 ცენტნერი მარცვლეული რომ ვიანგარიშოთ, ტონებს მივიღებთ.

ამასთან ერთად ის დაუმუშავებელი, სარეველების ბუდედ ქცეული ნაკვეთები, ჩალისა და ნამჯის ზვინებში თავშეფარებული მღრღნელები ძირითად ფართობებშიც ხომ შეამცირებენ მოსავლიანობას?

არა, ასე არ უნდა ვუფრთხილდებოდეთ მიწას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა ადამიანები მიწის სიმდიდრისათვის მზრუნველი, მისი ყაირათიანი პატრონები არიან. მაშასადამე, ყველგან უნდა ვიცადოთ, რომ ნაყოფიერად დავამუშაოთ მიწები, გარდავქმნათ და გამოვიყენოთ ისინი.

მიწის, ნიადაგის მოვლა-დამუშავება, მიწათმოქმედების კულტურის დაცვა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობს. ამიტომ მას დიდი სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯეროვანი წესრიგი დაამყარონ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების საქმეში, ეფექტიანად გამოიყენონ მიწის მთელი რესურსები.

მიწების რაციონალურად გამოყენება, მიწათმოქმედების კულტურის დაცვა სოფლის კომუნისტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების სისტემატური ზრუნვის საგანი უნდა იყოს. საჭიროა დაირაზმოს სოფლის მთელი აქტივი იმისათვის, რომ არ დაგრჩეს დაუმუშავებელი მიწის სულ მცირე ფართობიც კი. უნდა დავამჩნიოთ მიწის ყოველ ნაკვეთს კარგი მეურნის ხელი.

როგორც წესი, თავი და ბოლო იმ ფართობისა, რომელზედაც დათესილია მარცვლეული ან სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა, გადახნული და გასუფთავებული უნდა იყოს. ეს არა მარტო ესთეტიკური ღონისძიებაა, არამედ მოსავლიანობის გადიდების დიდი რეზერვიცაა. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ იქ, სადაც მეტი თესება, მოსავალიც მეტი მოდის.

საქმისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომით შევძლებთ მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ეფექტურ აღმავლობას, შევძლებთ შემდგომში გავაფართოოთ და გავაძლიერთო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, სრულყოთ ჩვენი. ველ-მინდვრების პეიზაჟის სიმშვენიერე, ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა, მოსავლიანობის გადიდების სამსახურში ჩავაყენოთ მიწის ყველა სავარგული ,მისი ყოველი გოჯი და მტკაველი!

...საჭიროა საყოველთაო-სახალხო ბრძოლა მიწათმოქმედების კულტურის აღმავლობისათვის... მიწის დაცვა, მისი ნაყოფიერების გადიდება სოფლის მეურნეობაში უმდგომი პროგრამის აუცილებელი პირობაა. ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი პროგლემაა.

ლ. ი. ბრეჟნევი

ფეიერვერკული წელიწადი — შეკოჟავს ფეიერვერკულ ფინიშამდე

ასე ემზადებიან შაბათობისათვის

მაღაროელები

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კეთილშობილურ თაოსნობას ვ. ი. ლენინის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის მოწყობის თაობაზე.

„ლენინის ორდენოსანი მარგანტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროში „ერებაზე გადაწყვიტეს, რომ 21 აპრილს უკლებლივ გამოცხადდნენ სამუშაოზე და გამომუშავებული ხელფასი შეიტანონ მეცხრე ხუთწლედის ფონდში. აღსანიშნავია, რომ ამ დღეს ისინი იმუშავებენ დაზოგილი მასალებითა და ელექტროენერგიით. დიმიტროველები ვარაუდობენ დაამზადონ და სამშობლოს მისცენ სულ მცირე 300 ტონა მაღალი ხარისხის მარგანეცი და 450 ტონა სასაქონლო კონცენტრატ. შეაგროვონ 10 ტონა შავი ლითონის ჯართი, დარგონ 200 ძირი ხე. დაასუფთავონ მაღაროს მიდამოები.

კომუნისტური შაბათობისათვის ეარგად ემზადებიან ლენინის, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროების კოლექტივები, მშენებლები, რკინიგზელები.

მენავთობეები

ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად უჭერს მხარს მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის თანამშრომლების — 21 აპრილს მოეწყოს კომუნისტური შაბათობა.

№№ 1, 2, 9 და სხვა საამქროებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც მოიწონეს მოსკოველთა თაოსნობა. ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა დაამტკიცა შაბათობის საორგანიზაციო შტაბი 13 მოწინავე მენავთობის შემადგენლობით. შტაბს ქარხნის დირექტორი ს. დოლიძე უხელმძღვანელებს.

მენავთობეები შაბათობის დღეს შეაკეთებენ ტექნოლოგიურ დანადგარებს, გაამწვანებენ საწარმოს ტერიტორიას, ხუთწლედის ფონდში შეიტანენ 3.500 მანეთს.

ს. კუტუბიძე,
ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პარტიბიუროს მდივანი.

მანქანათმშენებლები

ფოთი. (საკ. კორ.). ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ქალაქის საწარმოდაწესებულებებს შორის პირველმა დაუჭირა მხარი მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას — 21 აპრილს კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ. შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 500 კაცი.

ძირითადი პროფესიის მუშები იმუშავებენ პროდუქციის გამომვიტანზე, ხოლო დანარჩენნი — ქარხნის ტერიტორიის დასუფთავება-კეთილმოწყობაზე. ამ დღეს ქარხნის მუშა-მოსამსახურეები გამომუშავებენ 12 ათასი მანეთის პროდუქციას და გამომუშავებულ ხელფასს 1.300 მანეთს ხუთწლედის ფონდში შეიტანენ.

უსვეად გვექნება ბოსტნეული

გეგუთის ბოსტნეული კულტურების ელიტური მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში გაცხოველებული მუშაობაა. გარაღდა შეჯიბრება ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გასაადიდებლად.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საადრეო ბოსტნეულის მოყვანას. მოეწყო 560 კვადრატულ ორმო 5.600 ჩარჩოთი. აქედან ჩვენ მივიღებთ 52 ჰექტარზე გასაშენებელ მაღალი ხარისხის პამიდორის ნერგს. გადავწყვიტეთ გეგმით გათვალისწინებული 770 ტონის ნაცვლად მოვიყვანოთ სულ ცოტა 1.040 ტონა პამიდორი.

გასული წლის 25 დეკემბრამდე 94 ჰექტარზე დავრგეთ კომპოსტო. პირველ მოსავალს 25 აპრილიდან ველოდ. ამასთან ერთად უნდა ვაწარმოოთ ბოსტნეული კულტურების ყველა ჯიშის ელიტური თესლი.

უხვი მოსავლის მიღებისათვის ფაროდ გაზაღდა შეჯიბრება. მაღალნაყოფიერად მუშაობენ მეოთხე, მეორე, მეშვიდე და მეათე ბრიგადები, რომლებსაც ი. გაბუნია, გრ. გონგაძე, შ. მუმაუდიანი და პ. ჯიქიძე ხელმძღვანელობენ. მათ შორის აღსანიშნავია იმ ბრიგადის მუშაობა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. მუშკუდიანი უძღვება. სანიმუშოდ უვლიან ნაკვეთებს ბ. შალამბერიძე, ნ. ხელაძე, ს. ბოდოკია.

მეურნეობის მებოსტნეების შრომის ავანგარდში კომუნისტები და კომკავშირელები დგანან. სულ მაღე უსვად მოვა საადრეო ბოსტნეული.

რ. კილაძე,
გეგუთის ბოსტნეული კულტურების ელიტური მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ჩამორჩენა დასძლიეს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის იანვრის დავალება ვერ შეასრულა, მაგრამ თებერვალში პირნათლად გაანაღდა ორი თვის დავალება. საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება შესრულებულია 104,1 პროცენტით, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 100,6 პროცენტით. გეგმის ზევით რეალიზებულია 29 ათასი მანეთის პროდუქცია.

ნაყოფიერი, შემოქმედებითი შრომაა, გაჩაღებული ქარხნის ყველა საამქროში. პირველობას ერთმანეთს იცილებიან სრესილი საღებავების, ლაქ-ემალების, ლითოფონის, მიკრობარიტის, შაბიამნის საამქროები, რომლებსაც ჯ. არსენიძე, ი. გიორგაძე, ა. რობაქიძე, ნ. გელაშვილი და ს. აფრიდონიძე ხელმძღვანელობენ.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო ფაბრიკაში საქსოი საამქროს საქსელავ უბანს კომბინატის გულს უწოდებენ. უბნის შრომითი მაჩვენებლები უმუალო გავლენას ახდენს კომბინატის გეგმების შესრულებაზე. ეს კარგად იციან მქსელავებმა, ამიტომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, მრთველ მ. არათანაშვილის ინიციატივას ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულების შესახებ ისინი უმალვე გამოეხმაურნენ. შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ახალგაზრდა მქსელავმა რ. აზნარაშვილმა. იგი მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებს და ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: მქსელავი რ. აზნარაშვილი (მარცხნივ) და ტექნოლოგი ჯ. ბიორბაძე ამოწმებენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ჯ. კასრაძის ფოტო.

მეგობრული ვიზიტით

24 მარტს სამშობლოში გაემგზავრა ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილე, ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარე, **ს. ჰუსეინი,** რომელიც მეგობრული ვიზიტით იყო მოსკოვში.

შერემეტიევოს აეროდრომზე მეგობრულ ვნუკოვოს აეროდრომზე სადამ ჰუსეინს გასაცილებლად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი** და სხვა **ოფიციალური** პირები.

ბ. ნ. პონომარიოვმა მიიღო ალჟირის ელჩი

23 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ბ. ნ. პონომარიოვმა** მიიღო ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი **რედ მალეკი.**

მეგობრული საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ურთიერთობის გაფართოების საკითხი.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე **რ. ა. ულიანოვსკი.**

გაკვლით მოსკოვში

23 მარტს სამშობლოში გაემგზავრა კორეის შრომის პარტიის დელეგაცია კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის **კიმ დონ გიუს** მეთაურობით, რომელიც გაცილით იყო მოსკოვში.

ბ. ნ. პონომარიოვმა ალჟირის ელჩ **რედ მალეკი** ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩ **ალ-ჰაჯ ხიმ ბაბა** ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩ **ალ-ჰაჯ ბენ ალი ბენ ალი** ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩ **ალ-ჰაჯ ბენ ალი ბენ ალი** ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩ **ალ-ჰაჯ ბენ ალი ბენ ალი** ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩ **ალ-ჰაჯ ბენ ალი ბენ ალი** ალჟირის სახალხო დემოკრატიული

სსრ კავშირში სადამ ჰუსეინის ვიზიტის გამო

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1973 წლის 21-24 მარტს საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იყო ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალური მდივნის მოადგილე, ერაყის რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ა. გრომიკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ა. ტიხონოვი** და სხვა **ოფიციალური** პირები.

ალ-ბაქრი — ერაყის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარე, ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ა. ჰ. ალ-ბაქრი** სსრ კავშირში ყოფნის შესახებ 1972 წლის 20 სექტემბრის ერთობლივ კომუნიკეში.

ს. ჰუსეინმა საბჭოთა მხარეს გააცნო მიდწევები, რომლებიც ერაყის რესპუბლიკამ მოიპოვა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცების დარგში, კერძოდ, ეროვნული ნავთობის მრეწველობის შექმნისა და საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრისადმი სუვერენიტეტის დაწესების გზით, აგრეთვე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა „ერაკ პეტროლეუმ კომპანიასთან“ მიმდინარე წლის 1 მარტის შეთანხმებას, რომელმაც განამტკიცა ერაყის გმირჯება მისი ნავთობის ნაციონალიზაციისა და გასაღების საქმეში.

ერაყის მხრივ — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრი, რევოლუციური სარდლობის საბჭოს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი **მურ

ად საიდ აბდელ ბაკი,** არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრი **შუჰა

იდეოლოგიური მუშაობის მთავარი მიმართულებანი

კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე სულ უფრო მაღლდება მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის როლი ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში. მისი შემოქმედებითი განვითარება და გამდიდრება, კომუნისტური იდეების გავრცელება დიდმნიშვნელოვან ადგილს იკავებენ პარტიის საქმიანობაში. ამას დამაჯერებლად გვიჩვენებენ დოკუმენტები კრებულისა — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის საკითხები", რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა.

კრებულში დაბეჭდილია სკკპ XXIII და XXIV ყრილობების დადგენილებები და რეზოლუციები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი 1965-1972 წლების პერიოდში. ეს დრო გამოირჩევა ქვეყნის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დიდი დინამიზმით, მასების საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობის ზრდით. უფრაგად და თანმიმდევრულად ახორციელებს რა ლენინურ კურსს შემოქმედებითი საქმიანობის ყველა სფეროში, პარტია მტკიცედ წყვეტს იდეოლოგიურ ამოცანებსაც და მთავარ ყურადღებას უთმობს ისეთ პრობლემებს, როგორიც არის რევოლუციური თეორიის შემდგომი განვითარება, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, ხალხის განათლებისა და კულტურის ამაღლება.

კრებულის დოკუმენტები გამოხატავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ორგანულ ერთიანობას. ვაშენოთ მთელი პრაქტიკული მუშაობა მარქსისტულ-ლენინურ თეორიულ ბაზაზე, ღრმად გავიაზროთ სინამდვილის პროცესები, შევიმუშაოთ და განვახორციელოთ პოლიტიკა ზუსტ მეცნიერულ საფუძველზე — ასეთია პრინციპი, რომელსაც იცავს პარტია. თუ რაოდენ, დიდ ყურადღებას უთმობს იგი თეორიის საკითხებს, ამას ადასტურებს, მაგალითად, 1967 წელს მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ". აქ ხანგრძლივი პერსპექტივისათვის არის განსაზღვრული მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, ეკონომიკურ, ისტორიულ და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში კვლევის ძირითადი მიმართულებანი.

უკანასკნელ წლებში პარტიამ მეცნიერულად განიხილა საზოგადოებრივი განვითარების ბევრი უმნიშვნელოვანესი პრობლემა და ტენდენცია. როგორც დოკუმენტები გვიჩვენებენ, მისი თეორიული აზრი სულ უფრო სრულად სწვდება სოციალისტური საზოგადოებისა და თანამედროვე სამყაროს განვითარების პროცესებს და სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. თეორიის ქმედითი, გარდამქმნელი როლი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს სკკპ XXIII და XXIV ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დოკუმენტებში. იქ ჩამოყალიბებულ თეორიულ და პოლიტიკურ დებულებებს ახალი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში.

დოკუმენტების თეორიულ შინაარსში ძირითადი ადგილი უჭირავს კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციისა და მისი ფაზების, პარტიისა და ხალხის რევოლუციური შემოქმედებითი მოღვაწეობის ეტაპების, გზების შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების გაღრმავებისა და დაკონკრეტების. დიდი თეორიული, პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დახასიათებას, რომელიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხაანგარიშო მოხსენებასა და პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში. სოციალისტური ტიპის ეროვნული ურთიერთობის შექმნის ისტორიაში არნახული გამოცდილების განზოგადება და ამავე დროს თანამედროვე ეტაპზე ამ ურთიერთობის არსის ანალიზი იყო ის დასკვნა, რომ სოციალისტური მშენებლობის წლებში ჩვენში შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ სსრ კავშირის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ ლენინის თეორია და პროგრამა ეროვნულ საკითხში გაამდიდრა დებულებებით, რომლებიც ცხადყოფენ საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის — სოციალისტური ერების აყვავებისა და განუხრელი დაახლოების ამ ერთიანი პროცესის დიალექტიკური ხასიათს.

სკკპ დოკუმენტებში ჩვენი ქვეყნის გამოცდილებით მეცნიერულად არის დასაბუთებული მუშათა კლასის როგორც ახალი საზოგადოების წამყვანი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ძალის როლი. ამ თეორიულ დებულებებს განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭებათ იმის გამო, რომ თანამედროვე იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლაში ბურჟუაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგები გაძლიერებთ უტიტვენ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას პროლეტარიატის ისტორიული მისიის შესახებ. პარტია დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთელი სისტემის სრულყოფის, სოციალისტური სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის შემდგომი განვითარების პრობლემების შემუშავებას.

კრებულის დოკუმენტები ასახავენ კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას — მის ინტერნაციონალიზმს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიული საქმიანობა არის მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის, ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის მისი ბრძოლის შემადგენელი ნაწილი. თანამედროვე მსოფლიო განვითარების პროცესების მარქსისტულ-ლენინურმა ანალიზმა საშუალება მისცა პარტიას, მკაფიო პოზიციას დასდგომოდა იმ საკითხებში, რომლებიც აღელვებს მთელ მოწინავე კაცობრიობას, შეემუშავებინა და განუხრელად განახორციელებინა საგარეოპოლიტიკური კურსი, რომელიც ხალხებმა აღიქვეს მშვიდობის პროგრამად, რომელიც შეესაბამება სოციალური პროგრესისა და საყოველთაო უშიშროების ინტერესებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტები ამავე დროს ხაზს უსვამენ, რომ, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა არის სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკური ფორმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტებში მეცნიერული კომუნიზმის პრობლემების დამუშავება, საზოგადოებრივი პრაქტიკის თეორიული ანალიზი აიარაღებენ იდეოლოგიურ კადრებს, ყველა კომუნისტს ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ნაციონალიზმის, სოციალიზმის ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული დამახინჯების, მემარჯვენე და „მემარცხენე" რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თეორიული საქმიანობა კომუნისტური პარტიის როლის გადიდების, საზოგადოებრივ პროგრესზე მისი ზეგავლენის გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. პარტიული დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ სოციალიზმის სინამდვილის ობიექტურ კანონზომიერებათა შეცნობის კვალობაზე მდიდრდება პარტიის მთელი საქმიანობა, იხვეწება საზოგადოებისადმი მისი ხელმძღვანელობის მეთოდები.

კრებულში შეტანილი პარტიის გადაწყვეტილებანი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შესახებ იდეების მდიდარი წყაროა.

ამ გადაწყვეტილებებში ნაჩვენებია იდეოლოგიური მუშაობის არსი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ აღვზარდოთ ახალი ადამიანი, კომუნისტური საზოგადოების მრავალმხრივ მომზადებული მშენებელი, ჩავუნერგოთ ყველა ის პოლიტიკა მთავარ მიზნად ისახავენ შეიქმნას სულ უფრო ხელსაყრელი პირობები პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარებისათვის. მისი სოციალური აქტივობის გადიდებისათვის.

ასეთი პასუხსაგები ამოცანა გულისხმობს აღზრდის შესაბამის სისტემასაც, რომლის ქმედითობა უზრუნველყოფილია ორგანიზატორული, იდეოლოგიური, სამეურნეო მუშაობის ერთიანობით. წინელ ზოლად გასდევს ეს აზრი კრებულის ყველა მასალას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საზოგადოებაში, შრომითს კოლექტივებში მორალურ-პოლიტიკური ატმოსფერო ხელს უწყობდეს ადამიანთა იდეურ და ზნეობრივ წრთობას. ამისათვის ზრუნვით გამსჭვალულია ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მუშაობის, პროფესიულ-ტექნიკური, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო კულტურის ამაღლების, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ღონისძიებანი.

პარტია დიდ უურადღებას უთმობს პროპაგანდისა და აგიტაციის, პრესის, ტელევიზიის, რადიოს, ლიტერატურისა და ხელოვნების ეფექტიანობის გადიდებას.

როგორც XXIV ყრილობამ აღნიშნა, პარტიას კომუნისტური აღზრდის ცენტრალურ ამოცანად მიაჩნია მშრომელებისათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, მაღალი იდეურ-პოლიტიკური თვისებების, კომუნისტური მორალის ნორმების ჩანერგვა. ხალხის შეგნებაში კომუნისტური იდეების ჩანერგვა, ამ იდეების დაუფლება უწყვეტი პროცესია. ამიტომ პარტიის გადაწყვეტილებანი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ დღენაადგ აამაღლონ კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური განათლება, ყველა მშრომელის პოლიტიკური განათლება. განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს ახალგაზრდობის იდეური წრთობა. ეს ზრუნვა აისახა ისეთ დოკუმენტებში, როგორიც არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კომკავშირისადმი ხელმძღვანელობისათვის, კრასნოიარსკის სამხარეო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ", „სრულიად საკავშირო ალკა 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ" და სხვ.

ჩვენი ცხოვრების მთელი წყობილებით საბჭოთა ადამიანები იზრდებიან როგორც სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები და მტკიცე ინტერნაციონალისტები. კრებულის დოკუმენტები ხაზს უსვამენ, თუ რაოდენ საჭიროა კლასობრივი მიდგომის დაცვა პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში. სოციალისტური ინტერნაციონალიზმი — პატრიოტიზმის პრინციპი — [illegible] ... ღრმად ... ეროვნული ... [illegible] ... ეროვნული ... [illegible] ... ეროვნული ... [illegible]

ვალდებულებანი, ანუ ვალებიც გვალდებს

საშუალო სკოლის ავტორიტეტისათვის

ხმაური — ჩვენი საერთო მტერი

ქართველი კაცის სანეტარო ოცნებამ ფრთები შეისხა. არა თუ ყველა წერა-კითხვის მცოდნეა, მაღალ საშუალო განათლების მიუღებელი არავინ დარჩება.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას დიდი სახელმწიფოებრივი დავალება აქვს: აღზარდოს ყველა მოკალაქე და მისცეს მეცნიერებათა საფუძვლების მყარი ცოდნა, რომ ერთი მხრივ უმაღლეს სკოლას მტკიცედ მომზადებული კონტინგენტი მიაწოდოს, მეორე მხრივ, ვინც სამეურნეო უწყებებში იმუშავებს, ისიც საჭირო ცოდნით იყოს აღჭურვილი.

უდავოა, რომ სოციალისტური ქვეყნის მკვიდრი, მიუხედავად პროფესიისა, უნდა იყოს განათლებული, კულტურული, გათვითცნობიერებული.

საშუალო სკოლა ათწლიანია. სწავლას იწყებს ექვსი წლის ნორჩი და ამთავრებს სიმწიფის მოწმობით, თითქის დაფაქცაცებული ახალგაზრდა. თუ ათი წელი მთლიანად სკოლის მუშაობას მოუძღვება და არამკითხე „შუამავლები" არ ჩაერევიან, საკმარისია. მაგრამ ეს დიდი დავალება რომ მაღალხარისხოვნად შესრულდეს, აუცილებელია მას ჰყავდეს თეორიულად განსწავლული, ღრმად კვალიფიციური პედაგოგთა კოლექტივი, რაც მთავარია, სკოლას სათავეში უნდა ედგეს გამათლებული, კულტურული, გამჭრიახი და ორგანიზატორული შეცრთების მქონე დირექტორი. სკოლისათვის სხვა საჭირო ფაქტორებს აქ არ შევეხებით, რადგან პედაგოგიურად განსწავლული დირექტორი მოუწესრიგებლად სკოლის არც ერთ კუთხეს არ დატოვებს, არც მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე ზრუნვას მოაკლებს ყურადღებას. სწორია გამოთქმა „რეზორმიც დირექტორია, სკოლაც ისეთია".

აქვე გვინდა მუდამ საზრუნავ, მოწაფეთა დატვირთვის ერთ სახეს — აუშინაო დავალებას შევეხოთ. საშინაო დავალების რაციონალურად გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს. კლასს რამდენიმე მასწავლებელი ჰყავს. ყველას თავისი დავალების დროში წატვა აინტერესებს. როგორ უნდა მოხერხდეს ამის უმტკივნეულოდ გადაჭრა, როდესაც ყოველი მასწავლებელი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კლასს იმდენ დავალებას აძლევს, რამდენიც მას საჭიროდ მიაჩნია. ამის გამო მოწაფეები მეტად დატვირთული არიან და არც შესრულებულის ხარისხია სასურველი. ზოგი მოწინავე სკოლა ამ საკითხს მოხერხებულად აწესრიგებს: ერთი კვირის განმავლობაში ცალკე კლასებში, მასწავლებელთა თანდასწრებით, სკოლაშივე ამზადებენ დავალებებს. დაახლოებით ორკვეკვა დავალებისათვის, რომელ საკანს რამდენი დრო დაუხარჯია (ნუ დავიიწყებთ, რომ ყოველ კლასს თავისი დღის რეჟიმი გააჩნია და მოწაფეებს შინ თავის კუთხეში აქვთ გამოკრული). ყოველ შემთხვევაში მოწაფეს რომ მძიმე ტვირთი არ აკაროდეთ, კლასის მასწავლებლებმა ურთიერთ შეთანხმებით უნდა გადაწყვიტონ დატვირთვის საკითხი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა საკუთარი სამრეკლოდან იწყონ რეკვა.

თუ რა მძიმე შედეგებს აქვს ადგილი მოწაფის გონების გადატვირთვის შემთხვევაში, მოვუსმინოთ გამოჩენილ პედიატრს აკადემიკოს გ. სპერანსკის: „ბონების გადატვირთვის პრობლემა ბავშვობიდანვე იწყება. ბავშვის ტვინი ნაზია. მას სჭირდება გაფრთხილება. ბავშვისა და მოზარდის ასაკში ბონებრივი შრომისა და დასვენების შეუფარდებლობა იწვევს ტვინისა და სისხლძარღვთა დარღვევას და შრომის უნარის დაკარგვას".

ამ გამოჩენილი მეცნიერის აზრს დავუმატებთ, რომ გადაშეტებული დატვირთვა მოწაფეს აჩვევს ზერელობას, სხვისი დახმარებით დავალების შესრულებას, მუშაობაზე გულს აყრას, იოლი გზებს ძებნას. ძნელის დაძლევა სიხარულის მომგვრელია, მაგრამ დაუძლეველის დავალება მოწაფეს ბრუდე გზაზე გაიყვანს.

დავუბრუნდეთ საკითხს: ჩვენ გვაინტერესებს იმ აბიტურიენტის ბედი, რომელიც უმაღლესში სწავლის გაგრძელებას აპირებს. საკონკურსო გამოცდებზე აბიტურიენტს მხოლოდ საშუალო სკოლის პროგრამის ცოდნა მოეთხოვება. მაგრამ ზოგჯერ გამოსაცდელს ზედმეტ საკითხებსაც უსვამენ. რა თქმა უნდა, შეუსწავლელზე რა პასუხის გაცემა შეიძლება, და ამის გამო აბიტურიენტთა ნაწილი უმაღლესის გარეშე რჩება. ამ ნაწილს ისინიც ემატებიან, რომლებმაც საშუალო სკოლის კურსი მტკიცედ ვერ აღიქვეს და გამოცდებზე ჩაიჭრნენ. პანიკამ მოიცვა აბიტურიენტები და მათი მშობლები და იწყეს გამოსავლის ძებნა. მზადების სარბიელზე, მრუდე გზით, გაჩნდნენ რეპეტიტორები. მათ წინააღმდეგ სამეურნეო ხარჯზე ოფიციალური მოსამზადებელი კურსები გაიხსნა. წიგნის ბაზარზე გართულებული პროგრამები იყიდება. მოკლედ, აბიტურიენტის ცოდნას ჯვარი დაესვა და მშობლები ასე მსჯელობენ: „თუ სახელმწიფომ სამეურნეო ხარჯზე მოსამზადებელი კურსები გახსნა, აშკარაა, რომ ჩვენი შვილები უმაღლესისათვის მზად არ არიან და დახმარება სჭირდებათ. კი მაგრამ საშუალო სკოლადამთავრებულები კვლავ საშუალო სკოლის მასწავლებლებს მოვამზადებინოთ კურსებზე? მათ რომ შეძლებოდათ, ხომ არც წუნს გამოუშვებდნენ? არა, ფულს ნუ დავზოგავთ, უკეთესი გზა გამოვნახოთ" და მასწავლებელთა მითითებით რეპეტიტორებს მიაშურეს. ეს უკანასკნელნი კი თავის მხრივ გათამამდნენ, აწგრეს გამოძალვისაკენ უბიძგთ და დიდი თანხები მოითხოვეს.

ვკითხოთ ერთი რეპეტიტორებს, რას ფიქრობენ, თავიანთ მოწაფეებს სხვის რომ უგზავნიან და საკუთარ უვიცობას ხელს აწერენ? ვაი სირცხვილო! ახალგაზრდობის აღმზრდელთა ანგარებამ ასე როგორ აუბნია თავზე! მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ მათი რიცხვი მცირეა. მაგონდება პირველი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლის, აწ განსვენებულ სერგო ჯოჯუას პასუხი მშობლისადმი, რომელმაც მას სთხოვა კარგ რეპეტიტორზე მიეთითებინა. კოპეზშეკრულმა სერგომ ჩაცინდა მიუგო: „ჩემს მომზადებულს სხვისი დახმარება არა სჭირდებაო". აი ნამდვილი კეთილშობილი მასწავლებლის პასუხი.

ვფიქრობთ, ამ „ბიზნესს" ხელს არავინ მოაკიდებს, მაგრამ თუ ვინმემ გაბედა ამ „ხელობის" კვლავ დაჩემება, თუნდაც დაბალი კლასებისათვის მათ სასჯელი უნდა მიეზღოთ.

რაც შეეხება მოსამზადებელ კურსებს, არავითარი დარღვევა მათ არ ახასიათებს, მაგრამ მაფი არსებობა საშუალო სკოლის ავტორიტეტს უნებლიე შემლაპვენელია. მას არც საჭიროებობის მოტანა შეუძლია. სხვა არა იყოს რა, მოწაფის დატვირთვა ხომ აუტანელი იქნება! დილით — სკოლაში, საღამოს კურსებზე. როდისღა შეასრულოს სკოლის დავალებები? რას მისცეს უპირატესობა? ამიტომ საშუალო სკოლას უნდა გაუფრთხილდეთ, თუ გვინდა მისი ღირსების ამაღლება, მოსამზადებელ მოწაფეებს სხვისი დახმარება არ უნდა დასჭირდეთ.

ცოდნის საძირკველი

კედაგოგის აზრები და ფიქრები

როგორც პრესამ გვაუწყა, მოწინავე სკოლების მოწაფეებმა თავი არ შეირცხვინეს და გამოცდებზე პირველ ადგილზე გამოვიდნენ. ასეთებს დამატებითი მზადება, ცხადია, არ დასჭირდებათ. თუმცა მათი რაოდენობა საკმარისი არ არის.

საჭირო და აუცილებელია, რომ ყველა საშუალო სკოლა თავის ღირსებას ემსახურებოდეს და იქითკენ წარიმართოს ყოველი საშუალება, რომ რაციონალურად გამოყენებულ იქნას მოწაფეთათვის განკუთვნილი დრო სკოლაში, მათსავე მომზადებას მოხმარდეს. უნდა გაძლიერდეს სკოლის პასუხისმგებლობა ნამუშევრის ხარისხზე. ატესტატში ნაჩვენები ნიშნები გამოცდებზე უნდა გამართლდეს! მაგრამ თუ გამოსაცდელი ჩაიჭრა ან დაბალი ნიშანი მიიღო, მიზეზი უნდა გამოირკვეს, ამისათვის საჭიროა გამოცდებზე დასმული კითხვა-პასუხის შინაარსი წერილობით აღირიცხებოდეს. ყოველ შემთხვევაში, განათლების მესაკუთრეს სადავეები ხელში მაგრად უნდა ეჭიროთ. საკუთარ საქმეს თვით საშუალო სკოლამ უნდა მოაბას თავი და სხვისი მეურვეობა არ უნდა დასჭირდეს.

მოსამზადებელი კურსები, როგორც მოგახსენეთ, აბიტურიენტებისათვის არ გამოდგება, მაგრამ ვინც საშუალო სკოლა რამდენიმე წლის წინათ დაამთავრა (სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულები, მუშები, კოლმეურნეები, საპატიო მიზეზით ჩამორჩენილნი), სურს უმაღლესი სწავლა და ამისათვის გავლილის გამეორება ან ახალი საპროგრამო მასალის შესწავლა სჭირდება, მათთვის საკმარისი იქნება, ჩვენი აზრით, ერთი მოსამზადებელი კურსები (კონკურსზე ხომ ყველა უმაღლესში საშუალო სკოლის პროგრამას ჰკითხავენ.) სამეურნეო ხარჯზე, მას უნდა ჰყავდეს საკუთარი პედაგოგიური შტატი და კონკურსზე გამოსაცდელები იმგვარადვე მოამზადონ, როგორც ზემოთ აბიტურიენტების შესახებ აღვნიშნე.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და ერთ საინტერესო საკითხზეც შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. უმაღლესის გარეთ მრავალი ახალგაზრდა რჩება, მათ შორის არც ნიჭიერნი არიან ცოტა.

ამას წინათ „ლიტერატურნაია გაზეტამ" მეტად საინტერესო წერილი მოთავსა სათაურით „ДАЙОШУЙОВЗЕ ЕЙЖЕБРИНАТЫ". საკითხი სწორედ იმათ ეხებათ, ვინც სხვადასხვა მიზეზით უმაღლესში ვერ მოხვდა, მუშაობს და სურვილი აქვს ისწავლოს უმაღლესში. კორესპონდენტის აზრით მათგან ბევრს შეუძლია საკუთარი ძალებით მოემზადოს და უმაღლესში ექსტერნად ჩააბაროს გამოცდები. რომ წარსულში ექსტერნატურას გასავალი ჰქონდა, იმითაც ამტკიცებს ავტორი, რომ ვ. ი. ლენინმა უნივერსიტეტში გამოცდა ექსტერნად ჩააბარა.

კორესპონდენტი მრავალი არგუმენტით ამტკიცებს მის სარგებლიანობას და ხაზგასმით აღნიშნავს: ეს საქმე უნდა აღვადგინოთ, რომ ყველა მსურველმა უმაღლესი განათლება მიიღოს, ამით არც სამუშაოს დატოვება იქნება საჭირო და არც უმაღლესი სკოლა გადაიტვირთება. მართლაც, საყურადღებო საკითხია და კარგი იქნება, თუ სათანადო ორგანოები მას ყურადღებით მოეკიდებიან. აქვე მეორე საკითხიც გვინდა მოვიგონოთ. ის შეეხება ᲛᲐᲦᲚᲘᲡᲣᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲒᲔᲜᲚᲘᲡ ᲣᲤᲐᲚᲔᲡᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ. ძველთა მსურველთ შეეძლოთ მოესმინათ ლექციები ცოდნის შესაძენად. რა თქმა უნდა, ცუდი არ იყო განათლების მისაღებად დიდი მეცნიერების ლექციების მოსმენა. ამისათვის არც გამოცდები იყო საჭირო და არც დიპლომშე მუშაობა. მაგრამ თუ ვინმეს სურვილი ექნებოდა და არც განათლება აკლდა, დიპლომსაც ქმიიღებდა. ეს საკითხი რომ დადებითად გადაიჭრებოდეს, თუ ჩვენი ქვეყანა ახლაც სჯობნის ევროპის არა ერთ სახელმწიფოს უმაღლესდამთავრებულთა რაოდენობით, მაშინ ხომ ვერავინ ვეღარ შეგვედრება.

დასასრულ, გვინდა დიდი კმაყოფილებით აღვნიშნოთ, საკონკურსო გამოცდებზე ქართული ენის გათანაბრება ძირითად დისციპლინებთან. ეს ღონისძიება არათუ მის დაკარგულ ავტორიტეტს აღადგენს მოწაფეთა თვალში, არამედ გააძლიერებს ახალგაზრდების ინტენსიურ ყურადღებას იმისადმი, რომ საკონკურსო გამოცდებზე მაღალი ნიშნით შეფასდეს მათი ცოდნა დედაენაში.

ᲜᲘᲜᲝ ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘ.

ᲮᲛᲐᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ!

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲭᲘᲭᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲠᲪ ᲗᲣ ისე დიდი ხნის წინათ პეკინისა და საბურთალოს ქუჩების შემოგარენი თბილისის გარეუბანს წარმოადგენდა, მხოლოდ აქა-იქ იყო გაბნეული პატარა-პატარა სახლები. იმ ხანად ამ უბანში ავტომანქანების სადგომად რამდენმე მოედანი შემოღობეს. მერე უბანი თანდათან გაიზარდა, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილად იქცა და ოდესღაც თითქმის უკაცრიელ მიდამოში დაბანაკებული გარაჟების ირგვლივ დიდრონი სახლებით დაშენებული ქუჩები გაჩნდა. როგორც სანტარიის, ისე ქალაქში სიმყუდროვისა და წესრიგის დაცვის თვალსაზრისით ამ გარაჟებს აქ არსებობა კარგახანია აღარ შეეფერება ამ უბანს. ამაზე რამდენიმე წელიწადია ლაპარაკობენ, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის. პირიქით, საბურთალოს და კუტუზოვის ქუჩების **ᲒᲐᲜᲯᲐᲠᲣᲚᲘᲜᲗᲐᲜ** გაწლაგებულ ავტოკოლონას თანდათან უმრავლდება მანქანების რიცხვი და გალავნისგარეთა ტერიტორიისაც იპყრობს.

კუტუზოვის ქუჩაზე ღამით გამეფებული მგზავრი ვაჟვარეებით იყურება: ქუჩაა თუ გარაჟი. ორმოცი-ორმოცდაათი მისამელქარიანი სატვირთო მანქანა ცხვრის ფარასავით მიხტრწეული ერთმანეთს, სახლების წინ ის ადგილიც კი დაუკავებია, ყვავილების ფასარგაკ მიწად რომ „არის დატოვებული.

არავის ეგონოს, თითქოს გალავნის შიგნით მანქანების შეყვანა ეზარებოდეთ შოფრებს, არა, იქ ერთ მანქანას მეორის კუდში აქვს ცხვირი წარგული, ერთმანეთში არიან მჭიდროდ ჩახერგილნი, მაგრამ მოედანი მაინც აღარ ჰყოფნით.

ქუჩა მობინადრეთა კეთილგილება არ არის და აქ მანქანების დაყენებაზე იქნებ არავის ეთქვა საეჭვოური და არც ეჩივლა სადმე, მაგრამ რაც აქ ხდება, ეს ნამდვილად უშოალოდ ეხება ამ გარაჟის ირგვლივ განლაგებული ყველა სახლის მობინადრეს — ეს არის ხმაური და რა ხმაური!

მანქანები საღამოზე შედარებით მშვიდად მოდიან, ერთმანეთის მიყოლებით იკავებენ ადგილს და, ისე გეგონოთ, „უწყინრად იძინებენ". მაგრამ მათ ასევე „უწყინრად გაღვიძება" როდი შეუძლიათ. დილაადრიანად იწყება გაუთავებელი, გულის გამაწყრალებელი ღმუილი, ტაკატაკუნი, გრუხუნი, ღრიალი, ბღავილი, ლრჭიალი და ამ საშინელი, ეპიჭეუხლის მაგვარი ხმაურის მეწყერი უმალვე გადალაკავს ხოლმე შემოგარენის სიმყუდროვე-სიმშვიდეს.

მოგეხსენებათ, ცისკრიდან ღამეგათენებულ მანქანას აღგილიდან ვერ დაძრავ, თუ ძრავი ადგილზეკარგახანს არ აამუშავე, რიგიანად არ გააბურე. ამას ემატება ისიც, რომ ზოგ შოფერს სხვაზე ადრე უნდა „ჩიხიდან" გასვლა, გზას ვერ პოულობს. წვალობს და ჯახირობს, მანევრირებს წინ და უკან და გასასვლელის ამაო ძიებაში ისედაც მეჯაქანე არ გააბურე. ამას ემატება ისიც, რომ ზოგ შოფერს სხვაზე ადრე უნდა „ჩიხიდან" გასვლა, გზას ვერ პოულობს. წვალობს და ჯახირობს, მანევრირებს წინ და უკან და გასასვლელის ძებნაში ისედაც მეჯოგეს ეზარება. ეს ხმაური ბევრს აწუხებს, მაგრამ, ეტყობა, მაინცდამაინც არ აწუხებს იმას, ვისაც ავტოკოლონის გადატანა კარგი ხანია ეკალივით სხვა, უფრო უსაფრთხო და დაუსახლებელ ტერიტორიაზე.

ზოგი იმასაც ამბობს: ეს ავტოკოლონა თუ გაიყვანეს გარეუბანში, აქ სხვას მოიყვანენ, იქნებ უფრო ცუდსაც, ისე რომ, მის „გასახლებაზე" თავს ნუ აწუხებთ, მოთმინებითა თქვენითაო...

არ ვიცი, ვის არ აძლევს ხელს და ვის აზარალებს ამ ავტოკოლონის აქედან „გასახლება". ერთი რამე კი შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა: ამჟამად მისი აქ არსებობით ნამდვილად ზარალდება ათასობით ადამიანის ჯანმრთელობა და ნერვული სისტემა.

ზოგი ალბათ იმასაც ჩაიცინებს: დიდი ქალაქის რომელი უბანია ხმაურისაგან დაზღვეული, ხმაური მხოლოდ იმას არ ესმის, ვინც უკვე საფლავში წევსო.

საერთოდ ხმაურს ქვეყანაზე, ვინ მოსპობს. მაგრამ ჯერ ერთი, ხმაურს გაიჩენია და, მეორეც, თუ ესა თუ ის ხმაური აქ ყოველნაირად გაუმართლებელი, საშიში და დასაგმობია ამჟამად და მისი თავიდან აცილება, სხვაგან, ნაკლებად ზიანის მომტან ადგილას გადატანა შეგვიძლია, რატომ დავაწყვეტინოთ ძარღვები და შეეიარაღოთ ჯანმრთელობა, რატომ შევწიროთ ამაოდ ქვეყნის სასიკეთოდ გამოსაყენებელი ძალღონე და ენერგია?

აქ ერთი რამეც არის საკითხავი: როცა კუტუზოვის ქუჩა ანგარეულ-დანგრეული იყო, ამდენი „უბინაო" წამბულძარიანი სატვირთო მანქანა სად „ათევდა ღამეს?"

ბოლოს შევნიშნავ: კუტუზოვის ქუჩის ავტოკოლონის თაობაზე თქმული სიტყვა მარტო ამ ავტოკოლონას როდი ეხება, ცალკე შემთხვევა როდია, იგი ტიპიური და ნიშანდობლივია საბურთალოს სხვა უბნებისთვისაც და არა მარტო საბურთალოსთვის...

მე იმ უბნების გულისტკივილიც მალაპარაკებს.

ადამიანებს მეტი გულისყურით უნდა გაფრთხილება.

იმედი მაქვს ეს ხმა თბილისისა თუ სხვა ქალაქების შიდა უბნებში დღემდე შემორჩენილი ავტოკოლონების მანქანათა აე ბღავილსა და ჯახჯუხში არ ჩაიკარგება.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲒᲔᲬᲐᲫᲔ.

ᲮᲛᲐᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ!

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲭᲘᲭᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲠᲪ ᲗᲣ ისე დიდი ხნის წინათ პეკინისა და საბურთალოს ქუჩების შემოგარენი თბილისის გარეუბანს წარმოადგენდა, მხოლოდ აქა-იქ იყო გაბნეული პატარა-პატარა სახლები. იმ ხანად ამ უბანში ავტომანქანების სადგომად რამდენმე მოედანი შემოღობეს. მერე უბანი თანდათან გაიზარდა, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილად იქცა და ოდესღაც თითქმის უკაცრიელ მიდამოში დაბანაკებული გარაჟების ირგვლივ დიდრონი სახლებით დაშენებული ქუჩები გაჩნდა. როგორც სანტარიის, ისე ქალაქში სიმყუდროვისა და წესრიგის დაცვის თვალსაზრისით ამ გარაჟებს აქ არსებობა კარგახანია აღარ შეეფერება ამ უბანს. ამაზე რამდენიმე წელიწადია ლაპარაკობენ, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის. პირიქით, საბურთალოს და კუტუზოვის ქუჩების **ᲒᲐᲜᲯᲐᲠᲣᲚᲘᲜᲗᲐᲜ** გაწლაგებულ ავტოკოლონას თანდათან უმრავლდება მანქანების რიცხვი და გალავნისგარეთა ტერიტორიისაც იპყრობს.

კუტუზოვის ქუჩაზე ღამით გამეფებული მგზავრი ვაჟვარეებით იყურება: ქუჩაა თუ გარაჟი. ორმოცი-ორმოცდაათი მისამელქარიანი სატვირთო მანქანა ცხვრის ფარასავით მიხტრწეული ერთმანეთს, სახლების წინ ის ადგილიც კი დაუკავებია, ყვავილების ფასარგაკ მიწად რომ „არის დატოვებული.

არავის ეგონოს, თითქოს გალავნის შიგნით მანქანების შეყვანა ეზარებოდეთ შოფრებს, არა, იქ ერთ მანქანას მეორის კუდში აქვს ცხვირი წარგული, ერთმანეთში არიან მჭიდროდ ჩახერგილნი, მაგრამ მოედანი მაინც აღარ ჰყოფნით.

ქუჩა მობინადრეთა კეთილგილება არ არის და აქ მანქანების დაყენებაზე იქნებ არავის ეთქვა საეჭვოური და არც ეჩივლა სადმე, მაგრამ რაც აქ ხდება, ეს ნამდვილად უშოალოდ ეხება ამ გარაჟის ირგვლივ განლაგებული ყველა სახლის მობინადრეს — ეს არის ხმაური და რა ხმაური!

მანქანები საღამოზე შედარებით მშვიდად მოდიან, ერთმანეთის მიყოლებით იკავებენ ადგილს და, ისე გეგონოთ, „უწყინრად იძინებენ". მაგრამ მათ ასევე „უწყინრად გაღვიძება" როდი შეუძლიათ. დილაადრიანად იწყება გაუთავებელი, გულის გამაწყრალებელი ღმუილი, ტაკატაკუნი, გრუხუნი, ღრიალი, ბღავილი, ლრჭიალი და ამ საშინელი, ეპიჭეუხლის მაგვარი ხმაურის მეწყერი უმალვე გადალაკავს ხოლმე შემოგარენის სიმყუდროვე-სიმშვიდეს.

მოგეხსენებათ, ცისკრიდან ღამეგათენებულ მანქანას აღგილიდან ვერ დაძრავ, თუ ძრავი ადგილზეკარგახანს არ აამუშავე, რიგიანად არ გააბურე. ამას ემატება ისიც, რომ ზოგ შოფერს სხვაზე ადრე უნდა „ჩიხიდან" გასვლა, გზას ვერ პოულობს. წვალობს და ჯახირობს, მანევრირებს წინ და უკან და გასასვლელის ძებნაში ისედაც მეჯოგეს ეზარება. ეს ხმაური ბევრს აწუხებს, მაგრამ, ეტყობა, მაინცდამაინც არ აწუხებს იმას, ვისაც ავტოკოლონის გადატანა კარგი ხანია ეკალივით სხვა, უფრო უსაფრთხო და დაუსახლებელ ტერიტორიაზე.

ზოგი იმასაც ამბობს: ეს ავტოკოლონა თუ გაიყვანეს გარეუბანში, აქ სხვას მოიყვანენ, იქნებ უფრო ცუდსაც, ისე რომ, მის „გასახლებაზე" თავს ნუ აწუხებთ, მოთმინებითა თქვენითაო...

არ ვიცი, ვის არ აძლევს ხელს და ვის აზარალებს ამ ავტოკოლონის აქედან „გასახლება". ერთი რამე კი შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა: ამჟამად მისი აქ არსებობით ნამდვილად ზარალდება ათასობით ადამიანის ჯანმრთელობა და ნერვული სისტემა.

ზოგი ალბათ იმასაც ჩაიცინებს: დიდი ქალაქის რომელი უბანია ხმაურისაგან დაზღვეული, ხმაური მხოლოდ იმას არ ესმის, ვინც უკვე საფლავში წევსო.

საერთოდ ხმაურს ქვეყანაზე, ვინ მოსპობს. მაგრამ ჯერ ერთი, ხმაურს გაიჩენია და, მეორეც, თუ ესა თუ ის ხმაური აქ ყოველნაირად გაუმართლებელი, საშიში და დასაგმობია ამჟამად და მისი თავიდან აცილება, სხვაგან, ნაკლებად ზიანის მომტან ადგილას გადატანა შეგვიძლია, რატომ დავაწყვეტინოთ ძარღვები და შეეიარაღოთ ჯანმრთელობა, რატომ შევწიროთ ამაოდ ქვეყნის სასიკეთოდ გამოსაყენებელი ძალღონე და ენერგია?

აქ ერთი რამეც არის საკითხავი: როცა კუტუზოვის ქუჩა ანგარეულ-დანგრეული იყო, ამდენი „უბინაო" წამბულძარიანი სატვირთო მანქანა სად „ათევდა ღამეს?"

ბოლოს შევნიშნავ: კუტუზოვის ქუჩის ავტოკოლონის თაობაზე თქმული სიტყვა მარტო ამ ავტოკოლონას როდი ეხება, ცალკე შემთხვევა როდია, იგი ტიპიური და ნიშანდობლივია საბურთალოს სხვა უბნებისთვისაც და არა მარტო საბურთალოსთვის...

მე იმ უბნების გულისტკივილიც მალაპარაკებს.

ადამიანებს მეტი გულისყურით უნდა გაფრთხილება.

იმედი მაქვს ეს ხმა თბილისისა თუ სხვა ქალაქების შიდა უბნებში დღემდე შემორჩენილი ავტოკოლონების მანქანათა აე ბღავილსა და ჯახჯუხში არ ჩაიკარგება.

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲒᲔᲬᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲬᲘᲒᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოაცხადეს, რომ 1973 წელს იწყობა შემოქმედებითი კონკურსი სოციალისტური რეალიზმის შესახებ საუკეთესო წიგნისათვის. კონკურსი იმართება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად.

კონკურსის მიზანია წაახალისოს კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები, რათა შექმნან მეცნიერულ-პოლიტიკური ნაშრომები, რომლებიც მიეძღვნება მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურულ კრიტიკაში სოციალისტური რეალიზმის აქტუალურ პრობლემებს. კონკურსზე წარმოდგენილი ნაშუშევრები უნდა შეიცავდნენ სოციალისტური რეალიზმის, როგორც შემოქმედებითი მეთოდის, ზოგად დახასიათებას, აგლენდნენ ახალ ნიშნებს მის განვითარებაში, იხილავდნენ თეორიულ საკითხებს მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის პრაქტიკასთან ორგანული კავშირით, აქტიურად უწყობდნენ ხელს ბრძოლას პარტიულობისა და ხელოვნების ხალხურობის პრინციპებისათვის.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია მწერალთა კავშირისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის პრემიები: პირველი, მეორე და ორი მესამე პრემია.

კონკურსის ეიურის შემადგენლობაში, რომლის შედეგები უნდა შეჯამდეს 1974 წლის 5 მაისისათვის, შევიდნენ ცნობილი კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები (საკვლევი).

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲩᲔᲛᲘ ᲐᲚᲛᲐᲡ-ᲚᲐᲚᲚᲔᲑᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ პირველი ლექსი 1938 წელს დაიბეჭდა, პირველი წიგნი კი 1956 წელს გამოვიდა. პოეტი ლექსთა რამდენიმე კრებულის ავტორია. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მხატვრული ნარკვევები, ქართული სწორმეტყველების საკითხებზე დაბეჭდილი სტატიები.

მე მდიდარი ვარ,
როცა გული ლექსს მაწერინებს,
ოცნების ფრთებით
საქართველოს მთებს მახერინებს!
მე მდიდარი ვარ სწორედ ამით,
რომ ვარ ღარიბი.
მერქვას მგოსანი,
თუნდაც მცირე, თუნდაც უარიბი!
ლალი კი არა
ან ზურმუხტი თვალსხივოსანი,
ლუკმა, სულ ერთი ლუკმა მჭონდეს,
მერქვას მგოსანი!

მერქვას ის კაცი,
ვისაც წილად ბედმა არგუნა
ექცეს ქართველთა დიდ ხამკვიდროს
მცირე აგურად —
ვენთო ხამშობლოს დიდ ტაძარში
ერთი სანთელი,
წმინდა სანთელი —
ღირსეული მერქვას ქართველი!

თუ ერის დიდ აზრს სხივს შევმატებ
მცირე გონებით,
რით ვიამაყებ უფრო მეტად,
რომელ ქონებით!

თუ ჩემი ხალხი
თუმცა მცირეს, ჩემ ღვაწლს აფასებს,
მე მდიდარი ვარ,
თუმცა არა ვფლობ
ლალს და ალმასებს!

ზოგს ეცინება,
თუ ახსენე პატიოსნება,
ბროლის და ლალის კოშკებია
მათი ოცნება.
დამილოცნია,
ყველა მათთვის დამილოცნია!

სიტყვა, გულწრფელი კაცის სიტყვა
დამიკოცნია!

მე მდიდარი ვარ —
გულს მიყვავს ლექსის ყვავილი,
მე ამაყი ვარ,
გულამაყად ხალხში გავივლი;
მე მგმობელი ვარ,
სხვა ყოველთა განძთა მგმობელი,
მე მფლობელი ვარ,
ფასდაუდებ განძთა მფლობელი.
ჩემი განძია ჩემი გული,
ჩემი ოცნება.
პატიოსნება,
ერთადერთი პატიოსნება!
აი რას ვეტრფი,
რა ვიწამე, რა დავიმკვიდრე!
პატიოსნება, წვა, ოცნება —
აი სიმდიდრე!

მე მდიდარი ვარ,
როცა გული ლექსს მაწერინებს,
ოცნების ფრთებით
საქართველოს მთებს მახერინებს!

მტკვრის და რიონის
და ლიახვის ტალღის კამკამი,
ბალახის თრთოლვა,
ბალში ლეღვი,
ზვარში — ატამი;
ალაზნის ველის სილამაზე,
ქართლი, კახეთი;
თუნდა მთაწმინდა,
თუნდ ბაგრატის გადახახედი;
ჭეჭილის ტალღის მღელვარება,
ნამის მძივები;
ხვავი დამდგარი მწვერვალებად,
ჩიის მწკრივები;
ნაზი ღიმილი,
ლამაზმანთა ტანის შერხევა;
ვაზი, ჭიგოს რომ მიჯნურივით
შემოეხვევა;
ან ხასწაულთა ხასწაული,
ძველი ვარძია, —
ეს ყველაფერი სულ ჩემია,
ჩემი განძია!

ჩვენი ხამშობლო —
თავისუფალ ერთა ლაშქარი,
რუსთაველ ბრძმედი,
ენგურჰესის მძლავრი კაშხალი;
(აკაკის სიტყვას ვესესხები):
გმირთა მხარ-მკლავი —
მოყვრისთვის ლხენა,
მტრისთვის რისხვა გულმოსაკლავი,
დიად ხუთწლედის.
გულეცეცხლოვან გმირთა თვალები —
აი სიმდიდრე,
აი ჩემი ალმას-ლალები!

ᲠᲔᲙᲐᲕᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲖᲐᲠᲔᲑᲘ

გულს სხვა ცეცხლის ნაპერწკლები გვეგულება,
დღეს სხვა გრგვინვით რეკავს ოქროს ზარები...
დედა თბილისს დაუმტკიცოთ ერთგულება —
აბა მხარზე ნიჩბები და ბარები!

შევესინთ თბილის-ქალაქს, ბოსტან-ქალაქს.
შესევა ხომ მუდამ ომი არ არი,
ჩვენი ტურფა საქართველოს მოსართავად
შუაზე ოფი მოვიწმ

ბუნება და ადამიანი

მუხა, მიყვარხარ ტიალო!

საყოველთაოდ ცნობილია ეს შესანიშნავი ლექსი საქართველოში, ბაჩანამ ამ ლექსით გამოხატა ხალხის ჩაუმქრალი სიყვარული ტყისადმი, არა ერთი და ორი შედეგრი მიუძღვნეს ჩვენს ბუნებას ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ... საქართველოს ტყეების ჭირვარამით შეწუხებულმა იაკობ გოგებაშვილმა „დედა-ენაში“ ჩაწერა: — ქართველი ძალიან უმადურად ეკიდება ტყესა. დაუზოგავად ჩეხავს და აჩანაგებს მას, სადაც ამ ოცი-ორმოცი წლის წინათ მწვანე ტყე შვენოდა, იქ ბეერგან ახლა მხოლოდ ცარიელი მზისაგან გადამწვარი ხრიოკები გამოსჩანს. ეს დიდი უგუნურებაა. სხვა განათლებულ ქვეყნებში არამც თუ ტყეს არ აჩანაგებენ, დარგვით ამრავლებენ, სწორედ ისე, როგორც ჩვენში ბაღებში ხეხილსა ვრგავთ...

ასეთი ბრალდება წაუყენა ქართველ კაცს დიდმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ. ეს გასაკვირველი როდია, რადგან სამშობლოს ბუნების კეთილდღეობა ყოველთვის იყო ქვეყნის მოწინავე ადამიანების თავსატეხი და დიდი საზრუნავი საგანი. იაკობ გოგებაშვილი ანბანთან ერთად თანამოძმეთ ბუნების სიყვარულსაც ასწავლიდა, გაუმარტავდა მათ, რომ ტყე ქვეყნის მშვენებაა, სადაც ტყეა, იქ ბუნება სიცოცხლით არის სავსე, ხოლო საცა ტყე სრულიად არ მოიპოვება, იქ ბუნება მკვდარია. ტყეს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამის სრული აღწერა ძნელია. მოკლედ გეტყვით: ტყე წვიმის წყალს იფარავს მზისაგანაც და ქარისაგან, წვიმის წყალი მიწაში ჩადის, ჭროვდება და აჩენს წყაროებსა და მდინარეებსა. ამიტომაც, სადაც ბევრი ტყეებია, იქ წყალიც უხვად სდის და მოსავალს ხელს უწყობს... ტყე ადამიანის სიმრთელისათვისაც სასარგებლოა. ტყის ფოთოლი ჰაერსა წმენდს და ხალს თვისებას აძლევს. ამიტომ ტყის ახლოს მცხოვრებნი უფრო ჯანსაღნი და მხნენი არიან, მინამ ტყიდან დაშორებულნი ბინადარნი...

რა ენამ აღწეროს, რამდენი სიდუხჭირე, გაჩანაგება და მწარე დღეები გადაუტანია საქართველოს ტყეებს ჩვენი ისტორიის ავბედობის ჟამს. ტყის ისტორია ხომ ყოველთვის განუყრელი იყო ხალხის ისტორიისგან, ამიტომ საგულისხმოდ არის და ბუნებრივიც, რომ ჩვენი ტყეების აღორძინება დაიწყო მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ახლა შეიძლება ქართველ კაცს აღარა ვთქვათ, რომ ის ტყეებს უმადურად ეკიდება და აჩანაგებს. იაკობ გოგებაშვილის ბრალდება თვითონ ცხოვრებამ გააქარწყლა, ახლა ყველამ იცის, რომ ტყეებს მოვლა-გაშენება ჩვენში არა მარტო სახელმწიფოებრივი საქმეა, არამედ თვითეული შრომელის ყოველდღიური ფიქრისა და ზრუნვის საგანიც არის.

ამას მოწმობს თუ გნებავთ ახალი, ღრმაშინაარსიანი დადგენილება, რომელიც გულისხმობს თბილისისა და რუსთავის გარშემო მწვანე ზონის გაფართოებას, გარეშოს გაჯანსაღებას და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესებას. საქართველოს მშრომელები, ჭალაქად და სოფლად, დიდი სიხარულით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილებას, მეტად გაგვახარა დადგენილებამ იმ ნაწილმაც, სადაც ლაპარაკია საბადურის, ლუღელების, ცხვარიჭამიას, გლდანის, მარტყოფისა და საგურამოს ნაკრძალი ტყის მასივების ბაზაზე ეროვნული პარკის შექმნის შესახებ.

საგულისხმოა იმის აღიარებაც, რომ საჭიროა უარით პრაპაგანდა გაგვწიოთ ტყეების გაფართოების, ბუნებრივი სიმდიდრის გამრავლების საქმეში მოწინავე კოლექტივების გამოცდილებასა და მიღწევებს. ამ სიტყვების რომ გეითხოვობდი, თვალწინ წარმომიდგა ივრისპირეთი, მისი დაბურული, უღრანი ტყეები, საბადური, გორშავარდენი, ნადიკური, გორანა, ეეეეეთი, რომლებიც ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან ბუნების სილამაზეში, თვალწინ დამიდგნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ეაქაცური მარჯვენით აშენებენ ახალ ტყეებს და იცავენ მას ყოველგვარი ხელყოფისაგან.

თიანეთის სატყეო შეურნეობას, რომელსაც ოდესთორმეტი წელიწადია ცნობილი მეტყევე გენადი გიორგაძე ხელძღვანელობს, რესპუბლიკაში სამართლიანად უჭირავს ერთ-ერთი პირველი ადგილი. მუშაობაში მიღწეული დიდი წარმატებებისათვის შარშან თიანეთ მეტყევეებს გადაეცათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს სათუიანი სატაბლო ნიშანი და პირველი ფულადი პრემია, ეგრეთვე რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა.

...ავგიმთანქანამ ცხვარიჭამიას აღმართები პირბინა, მერე ღრმა ხეობა უკან მოიტოვა და ისევ აღმართს შეუდგა, წვიმდა, თითქოს მთებში შემოდგომა იდგა, ერთი საათის წინ, აქედან არც ისე შორს, დედაქალაქში გაზაფხულის სუნთქვას ვგრძნობდით, თეშმის ხეობაში კი სიცივე შძლარობდა, ნაძვები და ფიჭვები თეთრი საბნის სიმძიმით წელში მოხრილიყვნენ. საბადურის ნაკრძალი რომ დაიწყო, ერთბაშად ნისლი მოფარფატდა, ათიოდ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა, მიდამოს თითქოს თეთრი ღრუბლები ჩამოეფარა. შოფერი ფხიზლობდა, ხანდახან ნისლიდან გამოვარდებოდა ხოლმე შემხვედრი ავტომანქანა, ანთებულ ფარებს შემოგვანათებდა და დაბნეული ერთბაშად გვერღვა ავტოქცევა. ერთ ადგილას დიდი სატვირთო მანქანა ყინულით დაფარულ გზას ასცდენოდა და გაჭირვებაში ჩავარდნილ მოძმეს შოფერები ერთი ხმაურითა და შეძახილებით აშშნევებდნენ.

მერე ნისლი ნელნელა გაიფანტა და გზის ორივე მხარეს აღიმართნენ მაღალი წიფლები. ერთი შეხედვით, ისინი ჰგავდნენ მთიელ ვაჟკაცებს, ფერხულში ჩაბმულებს, რომლებსაც ერთმანეთისათვის ხელები გადაუხვევიათ.

საოცრად მეჩვენება ასეთი კონტრასტი. თბილისიდან რაღაც სამ ათეულ კილომეტრზე ნამდვილი ზამთარი იდგა. საერთოდ საბადური არა ჰგავს სხვა ტყეებს, მკაცრი და მოღუშულია ზამთარში და მეტისმეტად ალერსიანია ზაფხულში. იგი ნამდვილად არის ბუნების დიდებული ტაძარი, რომლის ჭერქვეშ ყველას როდი შეესვლება, აქ უნდა მოდიოდნენ ადამიანები სუფთა გულით და სუფთა ხელებით. აქ იმდენი სიამოვნების მიღება შეიძლება, რამდენის მიღების უნარი თქვენ გაგაჩნიათ. თბილისიდან დასიცხულები რომ ამოხვალთ, წიფლის ქვეშ ხავსითა და ბალახბუღანით დფარული ადგილი აირჩიეთ და მიდამოს გახედეთ, აქედან კარგად ჩანს არაგვისა და მტკვრის ხეობების სანახები, მერე ჩხიკვთა ქორწილს მოუსმინეთ, ანკარა წყაროებით წყურვილი მოიკალით, ბრილი, მაცოცხლებელი პაერით სული მოითქვით... თქვენ რაც გინდათ თქვით, მე კი მგონია, ქალაქელი კაცისათვის უკეთეს დასასვენებელ ადგილს ვერ იპოვნით.

საბადურის უზარმაზარი წიფლები წელან მთიელ ვაჟკაცებს შევადარეთ იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთი მთიელი და არამთიელიც ღალატობს მშობელ კუთხეს, ღალატობს თავის ადგილის დედას, და იღები ცხოვრების საძებნელად ქალაქს მიეშურება. ეს წიფლები კი არასოდეს არ მიატოვებენ იმ ადგილს, სადაც იხარა მათმა თესლმა, სადაც ტანი აიყარეს. ისინი აქ იქნებიან ათეული წლების მანძილზე, ქარიშხალთან და მეხთან ჭიდილში, როგორც მეომარი ხელჩართულ ბრძოლაში.

დიახ, ხეები ადამიანებს ჰგვანან. მათაც აქვთ ბავშვობა და ყრმობა, ისინი ვაჟკაცდებიან და ბერდებიან. არიან ხეები, რომლებიც დიდხანს ცოცლობენ ჩვენს ხსოვნაში. დუშეთში, მაგალითად, იმ შენობის წინ, სადაც ახლა მუსიკალური სასწავლებელია, ორი უზარმაზარი ნაძვი იდგა ძმებივით ერთად შეზრდილნი, მერე ერთი მათგანი დღისით, მზისით შეუბრალებლად წაქცეულ, აქაო და კაბინეტს მიბნელებსო, — უთქვამს მაშინ რაიონის ერთ ხელმძღვანელს. მას შემდეგ ორმოცზე მეტი წელი გავიდა, ქვეყანაზე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი ადამიანის ხსოვნა გაქრა, მაგრამ ხალხს არც ის უდროოდ წაქცეული ხე დავიწყებია და არც მისი მომჭრელის დანაშაული.

არ დამეცინოთ, და ხეებსაც აქვს თავიანთი ხკოლა, ჰაკვთ თავიანთი აღმზრდელები. არ გჯერათ? მაშინ მომისმინეთ. საბადურის უღრანი ტყე უკან რომ მოვიტოვეთ, ჩვენს თვალწინ გადაიშალა ეწოს მზიანი ველი, ამ უზარმაზარი ვაკის ქამრად შემორტყმოდა მდინარე აქეცას თეთრი ზოლი, ველის გარშემო მდებარე მთების ფერდობებს ამშვენებენ მწვანე ნარგავები, ერთ ასეთ მთას „გორშავარდენი“ ჰქვია. კარგად მახსოვს, ოცდახუთიოდე წლის წინათ როგორი ხრიოკი და ტიტველი ადგილი იყო, ასეთ ადგილს მთიელები საქონლის საყარს ეძახიან, ახლა აქ გაშენებულია ფიჭვის ლამაზი ტყეები, რომლებიც ჯერ ბავშვობის ასაკისა არიან და სანამ ვაჟკაცობის პერიოდს მიაღწევდნენ, კიდევ სამოცმა წელიწადმა მაინც უნდა გაიაროს. თიანეთის მთავრობა მეტყევეებმა რომან პატარაშვილმა (გვარი სრულიადაც არ შეეფერება ახოვან კაცს) და სამონიანთხევის მეტყევემ ეფრემ ჯანგიძემ მაჩვენეს ფიჭვის ხეები. ეს ტყე ჯანგიძემ ამაზე ადრე ერგო ხელში, ეს ტყეები ადრე ეკუთვნოდა ბუნებას, ეს ტყეები ადრე ეკუთვნოდა ადამიანებს, ეს ტყეები ადრე ეკუთვნოდა ბუნებასა და ადამიანებს ერთად, ეს ტყეები ადრე ეკუთვნოდა ბუნებასა, ადამიანებსა და ფრინველებს. ეს ტყეები ადრე ეკუთვნოდა ბუნებასა, ადამიანებსა, ფრინველებსა და ცხოველებს. ეს ტყეები ადრე ეკუთვნოდა ბუნებასა, ადამიანებსა, ფრინველებსა, ცხოველებსა და ... ეს ტყეები ადრე ეკუთვნოდა ... ეს ტყეები ... ეს ... ეს ...

ეს ... ეს ... ეს ...